სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 ივნისი, 2025 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება N 07-01/12

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 და 42-ე მუხლების, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების, ,,ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის №06-01/59 დადგენილების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№1, 26.06.2025წ.), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის სხდომის N07-02/04 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს N06-01/59, 26.06.2025. დადგენილებით შერჩეული კანდიდატურა - ბსუ–ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **პროფესორი ვლადიმერ ღლონტი** (წარმომადგენლობითი საბჭოს 26-წევრიანი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის (26 წევრი) უმრავლესობით, 17 ხმით), **4 წლის** უფლებამოსილების ვადით, **2025 წლის 25 აგვისტოდან.**
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**